



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

### გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 23

ქ. გარდაზანი

28.12.2023



23-06-4-202312281747

#### გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგენს:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირება, თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.

#### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის №9 დადგენილება „გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების

რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 31/03/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.161.016549).

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

